#388 2014 წლის 31 ოქტომბერი ქ. თბილისი

კ. იმნაძისათვის „დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ საქართველოსა და ნამიბიის რესპუბლიკას შორის“ ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს კახა იმნაძეს მიენიჭოს „დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ საქართველოსა და ნამიბიის რესპუბლიკას შორის“ ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**